# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 248. ხუთშაბათი, 26 აგვისტო 1904 წ. გაზეთის № 2594

МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ

# მღვდელ-მთავარი

ანტონ ჩეხოვისა.

ბზობის წინა საღამოს წმ. პეტრეს მონასტერში ღამისთევით მწუხრი იდგა. ათი საათი შესრულდა, ბზის დარიგება რო დაიწყეს. სანთლებს სინათლე მოაკლდა; პატრუქები დაუგრძელდა. ყველაფერი რაღაც ბურუსში გაეხვია. ეკკლესიის ბინდ-ბუნდში ხალხი იძვროდა, ღელავდა, როგორც ზღვა; და ყოვლად სამღვდელო პეტრე, რომელიც სამი დღე შეუძლოდ იყო, ვეღარ არჩევდა ვერც ახალგაზდებს და ვეღარც ხნიერებს... ბურუსიდგან კარები აღარ ჩანდა, ხალხი კი ისევ იძვროდა, ღელავდა. კაცს ეგონებოდა, ამ ბრბოს მოძრაობას დასასრული არც აქვს და არც ექნებაო. ქალების გუნდი გალობდა. ერთი მოლოზანი კითხულობდა წმიდანის სადიდებელ ლოცვას. ძალზე ცხელოდა. საშინელი ტვიფი იდგა. მეტად გაგრძელდა ღამის თევით მწუხრი... ყოვლად სამღვდელო პეტრე დაიღალა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად სუნთქავდა. მოქანცულობის გამო მხრები სტკიოდა, მუხლები უკან კალებდა... ის კიდევ უფრო უსუსტებდა გულს, რომ მგალობელთა დასადგომიდან ვიღაც დამთხვეული უსიამოვნო ხმით წამოიკივლებდა ხოლმე.... უცებ ყოვლად სამღვდელოს მოეჩვენა, როგორც სიზმარში, რომ იმასთან მივიდა მისი მშობელი დედა მარიამი, რომელიც პეტრეს აგერ ცხრა წელიწადია არ ენახა. მათმა მეუფებამ ვერ გაარჩია სწორედ, იმისი დედა იყო ის მოხუცი, თუ სხვა იმისი მზგავსი ვინმე დედაბერი... მოხუცმა მოწიწებით ჩამოართვა ბზა, მიდგა გვერდზე და სიამოვნების ღიმილით უყურებდა მათ მეუფებას, სანამ ხალხის ზღვამ შორს არ გაიტაცა და არ შთანთქა. ამ დროს მღვდელ-მთავარს თავისდა უნებურად ცრემლები გადმოსცვივდა და ლოყებზე ჩამოუგორდა. დაარხეინებული იყო. მიღებულ წეს-რიგს არაფერი არღვევდა. მღვდელ-მთავარი დაშტერებით მისჩერებოდა მარცხენა კლიროსს, სადაც წყვდიადის გამო აღარაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა, მხოლოდ კითხვა მოისმოდა. ყოვლად სამღვდელო გარინდებული იდგა და ტიროდა: ლოყებსა და წვერზე ცრემლები უბრჭყვინავდა. აი იმის ახლო კიდევ ვიღაცამ დაიწყო ტირილი, შემდეგ იქით კიდევ ვიღაცამ, მერე სხვამ, მერე სხვამ, და ამ ნაირად, ცოტ-ცოტაობით, მთელი ეკკლესია უხმო მომტირალთაგან გაივსო. ხუთიოდე წუთის შემდეგ მოლოზანთა გუნდმა გალობა დაიწყო. ეხლა აღარავინ ტიროდა. ყველაფერი წინანდელ დონეზე დადგა.

ღვთის მსახურება მალე გათავდა. როდესაც ყოვლად სამღვდელო შინ წასასვლელად ეტლში ჯდებოდა, მთვარით განათებულ ბაღში დიდრონ და ძვირფას ზარების ხმას გუგუნი გაჰქონდა. თეთრი კედლები, სასაფლაოებზე მდგომი თეთრი ჯვრები, თეთრი არყები, შავი გრილოები და შორეული მთვარე, რომელიც მონასტერს ზედ თავზე დასდგომოდა — ყველა ეს რაღაც იდუმალებით იყო მოცული.

აპრილის პირველი რიცხვები იყო. ახალ გაზაფხულის თბილი დღეების შემდეგ საკმაოდ გრილოდა და სასიამოვნო ცივ ჰაერში გაზაფხულის ფშვინვა მოისმოდა. მონასტრიდან ქალაქამდის რიყიანი გზა იყო და ამიტომ ეტლი მძიმედ მიდიოდა. ეტლს აქეთ-იქით მლოცველები მისდევდნენ ფეხით. ყველანი გაჩუმებულები იყვნენ, ჩაფიქრებულები. ბუნებაში სრული მყუდროება სუფევდა...

ეტლი შევიდა ქალაქში, გასრიალდა მთავარ ქუჩაზე. მაღაზიები კიდევაც დაეკეტათ. მხოლოდ ვაჭარი ერაკინის მაღაზიაში სცდიდნენ პირველად ელექტრონის ანთებას. ელექტრონის სინათლე საშინლად ლაპლაპებდა, გარს ბლომად ხალხი შემოხვეოდა. მთავარ ქუჩას მოჰყვა ერთი მეორეზე განიერი, ბნელი და ცარიელი ქუჩები. ქალაქს გარედ დაიწყო გზა-ტკეცილი, მინდორი. ჰაერში ფიქვის სუნი ტრიალებდა. მალე მგზავრების თვალ-წინ აიმართა თეთრი კუწუბიანი კედელი და ამ კედელს იქით მაღალი სამრეკლო, რომელსაც მთვარის სინათლე დაქათქათებდა; ხოლო სამრეკლოს გვერდით მოჩანდა ხუთი მოოქროილი, ბრჭყვინავი გუმბათი; — ეს იყო პანკრატის მონასტერი, სადაც ყოვლად სამღვდელო პეტრე ცხოვრობდა.

## † ალექსანდრე ნანეიშვილი

(გარდაიცვალა 12 აგვისტოს).



(გადაღებულია 1884 წელს).



(გადაღებულია 1901 წელს).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლიათიანის სადგური.

აქაც, ამ მონასტერსაც ჩაფიქრებული მთვარე თავზე დასჩერებოდა. ეტლი შევიდა ჭისკარებში; ქვიშაზე ეტლის თვლები აწრიპინდა. მთვარის სინათლეზე აქა-იქ გამოჩდენ შავებში გახვეული ბერები. ქვის იატაკზე სიარულის დროს ფეხების ბაკუნი ისმოდა...

— დედა თქვენი ბრძანდებოდა აქ, თქვენო მეუფებავ,— მოახსენა მოსამსახურემ, როდესაც ყოვლად სამღვდელო სახლში შედიოდა.

— დედა? როდის მოვიდა?

— მწუხრითი, ცისკრის დაწყების ცოტა ადრე. ჯერ თქვენ გიკითხათ და შემდეგ ქალთა მონასტერში წაბრძანდა.

— მაშ წელან ეკკლესიაში მართლა დედა ჩემი დამინახავს!—წამოიძახა ყოვლად სამღვდელომ და მეტის სიამოვნებისაგან გაეცინა.

— მიბრძანეს მოგახსენოთ, თქვენო მეუფებავ, —განაგრძო მოსამსახურემ,—რომ ხვალ მობრძანდებიან. თან პატარა ქალი ახლავს, უთუოთ შვილის-შვილი უნდა იყოს. ოვსიანიკოვის სახლში ჩამომხტარან.

— რომელი საათია?

— თორმეტი დაიწყო.

— ეჰ, ეგ კი ვერაფერია!

ყოვლად-სამღვდელო ცოტახანს დაფიქრებული დაჯდა სასტუმროში: იფიქრებდით არა სჯერა, რომ ასე დაგვიანებულიაო. ხელ-ფეხი სტეხდა, კეფა სტკიოდა, სცხელოდა და ეშფოთებოდა. მცირე დასვენების შემდეგ საწოლ ოთახში გავიდა, აქაც დაჯდა და სულ ისევ დედაზე ფიქრობდა. მოსამსახურის ფეხის ხმა და მეორე ოთახიდან ღვდელ-მონაზონის მამა სისოის ხველა ისმოდა. მონასტრის საათმა მეოთხედ ჩამოაწკარუნა.

ყოვლად-სამღვდელომ ტანისამოსი გამოიცვალა და ძილად მისასვლელი ლოცვების კითხვა დაიწყო. ის დიდის გულმოდგინებით კითხულობდა ამ ძველ, დიდი-ხნის ნაცნობ ლოცვებს და იმავე დროს თავის დედაზე ფიქრობდა. ეპისკოპოზის დედას ცხრა შვილი ჰყავდა და ორმოცამდის შვილის-შვილი. მას ჟამსა შინა, ჩვიდმეტი წლიდან სამოც წლამდის მარიამი ცხოვრობდა ერთ ღარიბ სოფელში, სადაც იმისი ქმარი მთავრად იყო გაწესებული. ყოვლად-სამღვდელოს დროიდან, თითქმის სამი წლიდან ახსოვდა დედა და ძალიანაც უყვარდა. ოჰ, ძვირფასო, საყვარელო და დაუვიწყარო ყმაწვილობავ! რა მიზეზია, რომ ეს სამუდამოთ დაკარგული დრო, რომლის დაბრუნებაც შეუძლებელია, უფრო მხიარულათ და სასიამოვნოთ გვეჩვენება, ვიდრე ნამდვილად იყო? ყმაწვილობასა და ჭაბუკობაში ავად რო გახდებოდა ხოლმე, რა რიგად ევლებოდა დედა თავს!..

ახლაკი ლოცვა და მოგონებანი აერია ერთმანეთში. მოგონებანი თან-და-თან უცხოვლდებოდა და ლოცვა სრულებიდაც არ უშლიდა დედაზე ფიქრს.

ლოცვის შემდეგ ღვდელ-მთავარმა გაიხადა და დაწვა. იმავე წამს, როდესაც კი გარშემო ყველაფერი სიწყვდიადემ მოიცვა, თვალ-წინ წარმოუდგა განსვენებული მამა, სამშობლო (სოფელი ლესოპილიე), ურმების ჭრიალი, ცხვრების ბღავილი, ზარების რეკა გაზაფხულის მოკრიალებულ დილაზე...

ოჰ! ყველა ეს რა სასიამოვნო მოსაგონი იყო! მოაგონდა ლესოპილიეს მღვდელი—მამა სვიმონი, მშვიდი, წყნარი, გულ-კეთილი; თვითონ ღვდელი გამხდარი კაცი იყო, პატარა ტანისა; იმისი შვილი, სემინარიელი კი—საშინელი ზორბა და მეტის-მეტი ბოხი ხმით მოლაპარაკე. ღვდლის შვილი ერთხელ რაღაცაზე გაუჯავრდა მზარეულ ქალს და ამ სიტყვებით გალანძღა: „აი შე იეგუდილის ვიროო!“ მამა სვიმონმა, რომელმაც ეს სიტყვები გაიგონა, შვილს არაფერი უთხრა, მხოლოდ იმისი კი შერცხვა, რომ ვერ მოეგონა, სამღრთო წერილში ამისთანა ვირი სად არის მოხსენებულიო. სვიმონის შემდეგ მღვდლად დანიშნეს მამა იოვანე, რომელიც ძალიანა სვამდა და ამის გამო მრევლმა მეტ-სახელად „ყლურჭია“ დაუძახა. ლესოპილიეში მასწავლებლად იყო მათე, სემინარიელი, კეთილი, ჭკვიანი ყმაწვილი, მაგრამ ისიც ლოთი; შეგირდებს არასოდეს არა სცემდა, მაგრამ კედელზე კი მუდამ ეკიდა წკეპლების კონა და იმის ქვეშ სრულიად უაზრო ლათინური წარწერა: Betula kinderbalsamica secuta. მათეს ჰყავდა ერთი ბანჯგვლიანი ძაღლი, რომელსაც „სინტაქსისს“ ეძახოდა.

ყოვლად-სამღვდელოს ჩაეცინა. ლესოპილიედან შვიდ ვერსზე იყო სოფელი ობნინო, სადაც სასწაულ-მომქმედი ხატი ესვენა. ობნინოდან ზაფხულობით ამ ხატს ლიტანიით ახლომახლო სოფლებში ატარებდნენ და ამის გამო მთელი დღე ხან ერთს და ხან მეორე სოფელში ზარების ხმა ისმოდა. ყოვლად-სამღვდელოს მაშინ ეგონა, რომ თვით სიამოვნება თრთის ჰაერშიო და ისიც (იმ დროს პავლუშკას ეძახდნენ) მისდევდა ხატს ქუდ-მოხდილი, ფეხშიშველა, გულუბრყვილო



ნავთსადგური ხიფუ.

რწმენით აღვსილი, გულუბრყვილო ღიმილით და უსაზღვროთ ბედნიერი. ეხლა ისიც მოაგონდა, რომ ობნინოში მუდამ აუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



იაპონელთა ჯარი ნავთსადგურ სასებოში გემებზე სხდება.

რებელი მლოცველი იყო ხოლმე; ამის გამო იქაური მღვდელი, მამა ალექსი, — კვეთის დროს რომ მოესწრო ყველას მოხსენება, — თავის ძმის-წულს ყრუ ილარიონას აკითხებდა სეფისკვერზე დადებულ ბარათებს, რომელიც კითხულობდა „განსასვენებლათ", თუ „სადღეგრძელოთ" ეწერა. ილარიონიც კითხულობდა, და ამ შრომისათვის დრო-გამოშვებით თითო წირვაში შაურებს და ხან უზალთუნებს იღებდა. მხოლოდ მაშინ, როცა გაჰქადარავდა და თავიც მოეტვლიპა, როცა სიცოცხლე ხელიდგან წაუვიდა, — ერთერთ ბარათში მოულოდნელათ ამოიკითხა: „ილარიონ! შენ სულელი ხარ!"

თითქმის ხუთმეტ წლამდის პავლუშა სრულიათ განუვითარებელი იყო და ცუდათაც სწავლობდა, ასე რომ მშობლები სასულიერო სასწავლებლიდამ გამოყვანას და სადმე დუქანში მიბარებას უპირებდენ. ერთხელ პავლუშა წერილებისათვის ფოსტაში მივიდა, ჯერ დიდხანს უყურა მოხელეს და მერე ჰკითხა: „ერთი მითხარით, გეთაყვა, ჯამაგირს თვიურათ იღებთ თუ დღიურათო?"

ყოვლად-სამღვდელო გადაბრუნდა მეორე გვერდზე, რომ აღარაფერზე ეფიქრა და დაეძინა.

— დედა ჩემი მოვიდა... ერთი კიდევ გაიხსენა და ჩაიცინა.

ფანჯარაში მთვარე შემოიყურებოდა და იატაკის ერთი ნაწილი გაენათებინა. ჭუჭუმკალია ხმაურობდა. კედლის იქით მეორე ოთახში მამა სისოი ხვრინავდა და რაღაც ეული, ობლური და თითქმის მაწანწალური ხმა ისმოდა იმის ბებრულ ხვრინვაში. სისოი ოდესღაც არქიელის ეკონომოსათ იყო, ეხლა კი „ყოფილ მამა ეკონომოსს ეძახიან". აწ ის სამოცდაათის წლისაა, სცხოვრობს მონასტერში, რომელიც ქალაქზე თექვსმეტი ვერსით არის დაშორებული; ხან ქალაქშიც ბინადრობს, საცა მოუხდება. სამი დღის წინათ შეიარა პანკრატის მონასტერში, და ყოვლად სამღვდელომ დაანარჩუნა თავისთან, რათა მოცლილ დროს საქმეებისა და აქაური წესების შესახებ მოლაპარაკებოდა.....

ორის ნახევარზე ცისკრისა დარეკეს. ისმოდა როგორ ჩაახველა მამა სისოიმ, როგორ წაიდუდღუნა უკმაყოფილო ხმით. მერე ადგა და ფეხშიშველამ ოთახებში გაიარ-გამოიარა.

— მამაო სისოი! დაუძახა ყოვლად-სამღვდელომ.

სისოი ცოტა ხნის შემდეგ გამოცხადდა წაღებ-ჩაცმული; ხელში სანთელი ეჭირა, პერანგზე კაბა გადაეცვა, თავზე გახუნებული სკუფია ჩამოეფხუტა.

— არ მეძინება, სთქვა ყოვლად-სამღვდელომ და წამოჯდა: შეუძლოთა ვარ: სიცხე მაქვს. არ ვიცი რა დამემართა!..

— უთუოდ გაცივდით, თქვენო მეუფებავ! სანთლის ქონით დაზელა გარგებთ.

სისოი ცოტა ხანს კიდევ იდგა და მერე დაამთქნარა: „ო, ღმერთო შემიწყალე მე ცოდვილი!"

— ერაკინის მაღაზიაში დღეს ელექტრონს ანთებდნენ, სთქვა სისოიმ: — არ მომწონს, სწორე გითხრათ!

მამა სისოი მოხუცებული იყო, გამხდარი, წელში მოხრილი, მუდამ რითიმე უკმაყოფილო; თვალები ერთობ გაჯავრებული და კიბოსავით დაყვლეპილი ჰქონდა.

— არ მომწონს! ერთხელ კიდევ სთქვა წასვლის დროს სისოიმ. არ მომწონს, მაგრამ რა მენაღვლება, რაც უნდათ ქნან.

ი. გ—ძი.

(შემდეგი იქნება)

## სხვა და სხვა ამბები

**ზღვაში დაბადებულნი.** ნურავინ იფიქრებს, რომ ცხოველები ზოგი ხმელეთზე ჩნდებოდნენ იმავ თავითვე და ზოგიც ზღვაში. ყოველი სულიერი არსება წინად, სულ უხსოვარ დროს, ზღვაში ჩნდებოდა. აქ, ზღვაში, დაიბადნენ პირველი ორგანიული უჯრედები. ამ უჯრედებისაგან თან-და-თანის

ევოლუციის მეოხებით გაჩნდნენ სხვა-და-სხვა წარმომადგენელნი ცხოველთა სამეფოსი და მათს შორის ადამიანიც. ამ სამეცნიერო თემაზე ამას წინად პარიზის სამეცნიერო აკადემიაში ფრანგთა გამოჩენილმა ზოოლოგოსმა ედმონ პერიემ წაიკითხა ბ-ნის კინტონის შრომა, ზედმიწევნილის ძიებით შედგენილი და დასაბუთებული.

სხვათა შორის, მეცნიერი კინტონი ამბობს, რომ სისხლი „ნამდვილი ასლია ზღვის წყლისა, სადაც განაგრძობენ ცხოვრებას პირველ-ყოფილ აქუატიკურ პირობებში მისი (სისხლის) შემადგენელი უჯრედებიო“. თვის სამეცნიერო ცდათა დროს, მეცნიერმა, სხვათა შორის, სისხლისაგან დასცალა ერთი ძაღლი და სისხლის მაგიერ ზღვის წყალი შეუსხა ძარღვებში, და ძაღლსაც არაფერი დაშავებია. მეცნიერმავე აღმოაჩინა, რომ ჩვენს ტანში არის ტყვია, სპილენძი, ვერცხლი და ოქრო იმ ზომისავე, რა ზომისაც ეს ლითონები ზღვის წყალშია. ასე რომ საუცხოვო ლეგენდა ბერძენთა მშვენიერების ღმერთის, აფროდიტის, ზღვაში დაბადების შესახებ სრულიად ეთანხმება მეცნიერთა უკანასკნელ გამოკვლევებს. პოეზიამ ადრევე წარმოიდგინა ის, რასაც ახლა მეცნიერება ჭეშმარიტებად აღიარებს.



— ქალბატონო, ივან პეტროვიჩი მობძანდა!..

— ასე ადრიანად? ჯერ ფერუმარილი არ წამისვამს, სთხოვე მოიცადოს.

**

**მიკრობები დიდხანს სცოცხლობენ.** საფრანგეთში, ვანდეს დეპარტამენტში ამას წინად ბ-ნთ ლაკულუმერმა და მარსელ ბოდუენმა ერთი მკვდართა სამარხი ჭა აღმოაჩინეს. ეს ჭა, მათის გამოანგარიშებით, გათხრილი უნდა ყოფილიყო ორის საუკუნით ადრე ქრისტეს დაბადებამდე. ათის მეტრის სიღრმეზე ამ ჭიდამ ტალახი ამოიღეს და ბაკტერიოლოგიურის მხრით გასინჯეს. შიგ აღმოაჩინეს მრავალი ჯერ ისევ ცოცხალი მიკრობი. ეს მიკრობები ხელის შემწყობ პირობებში მოაქციეს და იმათაც გამრავლება იწყეს. ბ-ნთ ლაკულუმერისა და ბოდუენის აზრით ეს მიკრობები გასჩენიათ თხებისა და ძაღლების მძოვრებს, რომელნიც საფლავში ჩაუტანებიათ მიკრობებსაც ყოველის მხრით დაფარულ ტალახში თავი შეუნახავთ თვრამეტის საუკუნის განმავლობაში... მეტად საკვირველია, რომ მიკრობებმა ამდენ ხანს გასძლეს და შემდეგ იბარტყეს კიდეც. მეცნიერებას აქამდე შემთხვევა არა ჰქონია ასეთი მაგალითი ამის მეტი აღენიშნა.

**

**სიღარიბის სტატისტიკა.** ლონდონში სახალხო ჰიგიენის კომისიამ შემდეგი საინტერესო სტატისტიკა გამოაქვეყნა. ამ წლის 29—30 იანვარს, ღამით, 1,509 კაცს და 120 ქალს დილამდე ქუჩა-ქუჩა უვლია, რადგან ღამის გასათევი ვერსად უშოვნია; 100 კაცსა და 63 ქალს ეზოებში ეტლების შესავალ ჭიშკარს ქვეშ გაუთევია ღამე; 23,442 ადამიანს იაფ-თავშესაფარში დაუძინია. უბინაობის გამო ქუჩა-ქუჩა მოწოწიალეთა შორის 54 ვაჟი ერია 16 წლისაზე ნაკლები და 33 ქალი 14 წლისაზე პატარა.

**

**რა ღირს საცოლე?** საცოლე სხვა და სხვა ადგილას სხვა და სხვა ნაირად ფასობს. მიშმელთა შორის (ხალხია აფრიკაში) მეტად სამართლიანი წესია ამის შესახებ. შეძლებული მეტს იხდის, ღარიბი—ნაკლებს. მდიდარმა ოცი ხარი უნდა მისცეს საცოლეს პატრონს, ღარიბი კი ერთს ღორს მიუყვანს და საქმე გაჩარხულია. კაფრთა შორის კი ორიდან ათ ძროხამდეა საჭირო იმის და კვალად, თუ რა წოდებისაა საცოლე. უგანდაში (აფრიკაშივე) საცოლეს ფასი გადაწყვეტილია: ოთხი ხარი, ერთი კოლოფი პატრონები და ექვსი საკერავი ნემსი! ტიმორლოში სასიძოს თუ სპილოს ეშვი არ აქვს, ხოლო ფიჯის კუნძულზე—ვეშაპის კბილი, ცოლის შერთვა გულშიაც არ უნდა გაივლოს. მანგონთა ქვეყანაში ორი ირმის ტყავი საკმარისია, რომ ქალი მოგათხოვონ.




კაცი. ამ ღამაზის კოცნაში მთელ-ქვეყანას არ დავიშურებდი!
ქალი. ძალიან გულუხვობას იჩენთ იმით, რაც თქვენ არ გეკუთვნით...



სტუდენტი. ძალიან მოვიქანცე! ხუთი საათის განუწყვეტლივ ვთამაშობ ბილიარდს. რა კარგი იქნებოდა, ამდენ ხანს წიგნის კითხვა რომ შემეძლოს!

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. цен. Тифлисъ, 24 Августа 1904 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ისა